# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 290

„ 2 " სექტემბერი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ : 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 127² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 31 აგვისტოს N34.08.737 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადა, კერძოდ, მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. საპრივატიზებო ტერიტორიებზე არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, 2019 წლის 31 აგვისტომდე, ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით".

2. შეთანხმდეს „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის12 ივლისს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 31 აგვისტოს N34.08.737 განკარგულების დანართით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების დანართი".

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი